



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 1 ნოემბერი, 2013 წელი

დრო: 15:00 – 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. გიორგი ჭილაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
5. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
6. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
7. გიორგი ზედგინიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. თემურ თორდინავა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
9. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
10. ირაკლი კოჭლამაზაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
11. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

შეხვედრაზე დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმის გაძლიერების პროექტის ფარგლებში ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები. ჯგუფში მომზადდა სულ ხუთი დოკუმენტი შემდეგ საკითხებზე: მცირე ბიზნესის განვითარება, საინოვაციო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის განვითარება, სურსათის უვნებლობა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტი დასრულებულია და უკვე გადაგზავნილია პლატფორმის სამდივნოსთან. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა განიხილეს ოთხი პოლიტიკის დოკუმენტი. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ თითოეულ დოკუმენტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და რეკომენდაციები.

თანაკოორდინატორმა, ასოციაცია "ქალი და ბიზნესის" წარმომადგენელმა, დამსწრეებს წარუდგინა პირველი პრეზენტაცია - "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა საქართველოში". პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა ჯგუფის სამი წევრი ორგანიზაცია: ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი. პოლიტიკის დოკუმენტის მთავარი მიზანია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი და მისი გაუმჯობესების მიმართულებების შემუშავების მცდელობა. დოკუმენტში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემათა სპექტრი, რომელიც აფერხებს აღნიშნული სექტორის განვითარებას, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საშუალო კლასის ფორმირებაზე, პოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევაზე. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ პრობლემათა სპექტრის ანალიზი და მათი დაძლევის ვარიანტების არგუმენტაცია, რეკომენდაციები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

დოკუმენტში მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სამი ალტერნატივა: პირველი ალტერნატივა გულისხმობს მცირე ბიზნესის მიმართ არსებული პოლიტიკის უცვლელად დატოვებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებას დღემდე არ გააჩნია რაიმე სახის გრძელვადიანი ხედვა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. შემუშავების პროცესშიც კი არ არის რაიმე სახის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა და ძირითადი კონცეფციები. მეორე ვარიანტი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკის ნაწილობრივი ცვლილებები, ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ეტაპობრივ, აუქქარებელ განხორციელებას ნაწილობრივი ცვლილებების გზით. პოზიციის ავტორების აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას სახელმწიფოს მხრიდან სჭირდება შეასაბამისი წინაპირობების მომზადება, კომპლექსური და კარგად გააზრებული ღონისძიებების პერმანენტული განხორციელება. მესამე ალტერნატივა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკის სწრაფ რეფორმირებას გულისხმობს. ავტორთა აზრით, სახელმწიფო მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ უსისტემოა და გრძელვადიან შედეგებზე არ არის გათვლილი. მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალური როლი და მნიშვნელობა არა თუ წახალისებული, არამედ უკანასკნელი წლების განმავლობაში იგნორირებულია. სამივე ალტერნატივის შემთხვევაში დოკუმენტში წარმოდგენილია ხედვის

როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის ფარგლებში მომზადდა ასევე რეკომენდაციებიც.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის წარმომადგენელმა, დამსწრეებს წარუდგინა მეორე პრეზენტაცია - "საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას". პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა ჯგუფის სამი წევრი ორგანიზაცია: ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის, კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის საერთაშორისო ცენტრი, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი. თანაკოორდინატორმა თავის პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი.

მისი თქმით, წარმოდგენილ პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ინოვაციური განვითარების სამი ალტერნატივა: პირველი ალტერნატივა, „არავითარი პოლიტიკა“, მოიცავს განვლილი 20 წელიწადს, როცა გაბატონებული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა საჭირო არ არის; მეორე ალტერნატივა გულისხმობს დღეს არსებულ ვითარებას, როცა ხელისუფლება ემხრობა ინოვაციურ განვითარებას, თუცა აქტივობები არ არის სტრუქტურირებული და ერთმანეთთან დაკავშირებული. მესამე ალტერნატივა, განვითარება საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე, გულისხმობს ჩამოყალიბებულ სტრატეგიას, რომელიც ვრცელდება ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებსა და მათ საქმიანობაზე.

პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის ფარგლებში მომზადდა ორი სახის რეკომენდაციები პირველი რიგის ღონისძიებების თაობაზე: 1. საინოვაციო პროცესის მართვის ღონისძიებები მოიცავს საინოვაციო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის დაწყებას, საუწყებათაშორისო საინოვაციო საბჭოს შექმნას, ქვეყანაში საინოვაციო საქმიანობის აღრიცხვის მოწესრიგებას და კადრების გადამზადების კამპანიის დაწყებას. 2. საინოვაციო სისტემის (ინფრასტრუქტურის) გაძლიერების ღონისძიებები გულისხმობს კვლევითი სისტემის გაძლიერებას, საინოვაციო სააგენტოს შექმნას, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების შექმნას, ბიზნეს-ინკუბატორების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურის განვითარებას, ტექნოპარკების შექმნას, მცირე ბიზნესის დახმარებისა და ტექნოლოგიების გადაცემის საერთაშორისო ქსელებში ჩართვას.

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა დამსწრეებს წარუდგინა მესამე პრეზენტაცია - "სოფლად აგრარული რეფორმის პოლიტიკის დოკუმენტი". პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა ხუთი წევრი ორგანიზაცია: კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", ფონდი "კავკასიის ეკოლოგია", საზოგადოებრივი დამცველი, „ჯანმრთელი სამყარო“. წარმოდგენილი დოკუმენტის სამიზნე აუდიტორია არის საქართველოს ხელისუფლება, პარლამენტი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დოკუმენტში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის განვითარების სამი ალტერნატივა: პირველი ალტერნატივა გულისხმობს საქართველოში ინტეგრირებული და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას, ინოვაციური ტექნოლოგიებს სოფლად, ენერჯო და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას სოფლად.

მეორე ვარიანტი გულისხმობს "ფერმერის" სტატუსის განსაზღვრას კანონმდებლობაში, ხოლო მესამე ვარიანტი - ახალგაზრდა და დამწყებ, ასევე ქალ-ფერმერთა სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავებას.

ჯუნior ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა დამსწრებს წარუდგინა მეოთხე პრეზენტაცია - "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის პოლიტიკის რეალობა და გამოწვევები საქართველოში". დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდა მესამე სამუშაო ჯგუფის სამი წევრი ორგანიზაცია: ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", ჯუნior ეჩივმენტი საქართველო, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია. დოკუმენტის ძირითადი მიზანია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერი სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი და მისი გაუმჯობესების გზების შემუშავების მცდელობა. დოკუმენტი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორც არის არსებული პოლიტიკა, ზოგადსამართლებრივი გარემო, პოლიტიკის ალტერნატივები-არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება, ცვლილებების საჭიროება საერთაშორისო აქტებთან ქვეყნის კანონმდებლობის თავსებადობის ასპექტების გათვალისწინებით, რეფორმების გაგრძელების გადაუდებელი აუცილებლობა.

დოკუმენტში განხილულია არსებული პოლიტიკის ორი ალტერნატივა: პირველი ალტერნატივა გულისხმობს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება. ავტორების აზრით, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის დაცვის გარანტიებს როგორც საკანონმდებლო, ისე რეალურ დონეზე. აუცილებელია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემდგომ პროგრამაში და მის შესაბამის მომავალ წლიურ სამოქმედო გეგმებში სათანადოდ იყოს გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების აუცილებლობა. მეორე ალტერნატივა გულისხმობს რეფორმების განხორციელების გადაუდებელ საჭიროებას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შემჭიდროვებულ ვადებში, რათა განხორციელებული იქნეს სისტემური ხასიათის ცვლილებები სურსათის უვნებლობის და ჯანდაცვის სფეროში. ორივე ალტერნატივის შემთხვევაში დოკუმენტში წარმოდგენილია ხედვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის ფარგლებში მომზადდა ასევე რეკომენდაციებიც.

ორსაათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია